



# ბათუმის უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო გაზეთი. ოქტომბერი. 2015.



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. მინდა მთელი გულით მივულოცო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს ეს საიუბილეო თარიღი.

აჭარაში საგანმანათლებლო კერის შექმნას უდიდესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ძალი-

ან სასიხარულოა, რომ დღესაც, როგორც ყოველთვის, ბათუმის უნივერსიტეტი ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს შორის და წარმატებით აგრძელებს ქართული საგანმანათლებლო სკოლის საუკეთესო ტრადიციებს. ამ უნივერსიტეტის კედლებს ბევრი სახელოვანი მეცნიერი და პედაგოგი ახსოვს, რომლებმაც არაერთი სამაყო შვილი აღუზარდეს ქვეყანას.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი კვლავაც ინარჩუნებს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დარგებს და ამავე დროს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ინტენსიურად ნერგავს და ავითარებს ახალ, საინტერესო მიმართულებებს, იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აქვს ქვეყნისა და უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

დარწმუნებული ვარ, ბათუმის უნივერსიტეტი გააგრძელებს თავის ტრადიციას და პროფესიონალთა კიდევ ბევრ თაობას, ბევრ სახელოვან, ღირსეულ, პატრიოტ შვილს აღუზრდის ჩვენს სამშობლოს.

**ირაკლი ლარიგაშვილი,**  
საქართველოს პრემიერ-მინისტრი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1  
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114



CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114  
Tel.: (995 32)2990378, 2989540; Fax:2987114



სამშობლოსაგან დიდი ხნით მოწყვეტილ და 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად კვლავ საქართველოს წიაღში დაბრუნებულ აჭარაში საგანმანათლებლო სისტემის დაფუძნება და განვითარება ჯერ კიდევ თავადაც დამოუკიდებლობას ნატრული ქართული საზოგადოების მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. უშუალოდ ილია ჭავჭავაძის მეოხებით 1881 წელს გახსნილ ბათუმის ქართულ სკოლას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იაკობ გოგებაშვილი და ივანე მაჩაბელიც. ეს უკანასკნელი წერდა - „ბათუმის სკოლა, მართალია, ძვირი უჯდება საზოგადოებას, მაგრამ მაინც უნდა დარჩეს, რადგან ეს სკოლა ისეთი დანიშნულებისაა, რომლის მნიშვნელობა მარტო ფულით არ აინონება“. სამშობლოსთან დაახ-

ლოებაში განათლების დიდ როლს კარგად ხედავდა ასევე აჭარის დიდი მამულიშვილი - ჰეიდარ აბაშიძეც. 1897 წლის ივლისში ბათუმში დაარსდა ვაჟთა გიმნაზია. სწორედ ამ გიმნაზიის შენობაში 1935 წელს გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელსაც 1938 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. 1990 წელს კი ახდა დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნება მეორე ქართული უნივერსიტეტის ბათუმში გახსნის თაობაზე და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა სახელმწიფო უნივერსიტეტად.

დღეს 80 წლის იუბილარი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე 9 ფაკულტეტს აერთიანებს. თანამედროვე განათლების სტანდარტებისა და გლობალიზაციის და ბოლონის პროცესებში ჩართულობამ განაპირობა უნივერსიტეტის ლექტორ-პედაგოგთა და სამეცნიერო პერსონალის უკეთესი მზადყოფნა საერთაშორისო სამეცნიერო ინტეგრაციისათვის. ამაზე მეტყველებს როგორც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისაგან მიღებული, ასევე საერთაშორისო გრანტების ზრდის ტენდენცია. ქვეყნის სასაზღვრო და სახმელეთო კარიბჭის, ტურისტული ცენტრისა და აჭარის დედაქალაქის სტატუსის გარდა, ბათუმი სულ უფრო იმკვიდრებს თანამედროვე საუნივერსიტეტო ქალაქის სტატუსსაც - უკვე საერთაშორისო არენაზეც.

გულითადად ვუსურვებ ახალ წარმატებებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს!

**დავით უსუვაშვილი,**  
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს გულითადად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს.

მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. ჭეშმარიტად ბრძანებდა ბატონი ივანე ჯავახიშვილი: თუ სადმე კიდევ უნდა გაიხსნას უმაღლესი სასწავლებელი, ეს, უპირველესად, ბათუმში უნდა მოხდესო.

უნივერსიტეტის პედაგოგებისა და აქ აღზრდილი თაობების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გაამართლეს ის იმედები, რისთვისაც იღვწოდენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები: გიორგი ახვლედიანი, სვიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი წერეთელი, სარგის კაკაბაძე, ვლადიმერ შერიძე, დიმიტრი გედევანიშვილი და სხვები, რომელნიც დაუღალავად ეხმარებოდნენ ბათუმის ამ სასწავლებელს პირველი ნაბიჯების გადადგმაში.

დღეს მთელი მსოფლიო მეტად რთული და მრავალმხრივი გამოწვევების წინაშე დგას. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულ ადამიანს, განსაკუთრებით კი მათ, რომელთაც მომავალი თაობების აღზრდა აკისრიათ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სპეციალისტების ღრმა ცოდნასთან ერთად, აუცილებელია, ახალგაზრდებს ავისა და კარგის, კეთილისა და ბოროტის გარჩევა და დამოუკიდებელი აზროვნება ვასწავლოთ, რომ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორი არჩევანი გააკეთონ.

ღმერთმა დალოცოს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ღმერთმა მოგვცეთ ძალა ღვთისა და მამულის სამსახურად.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

07.10.2015



# უნივერსიტეტი 80 წლისაა

**„საქართველოში თუ იქნება მეორე უნივერსიტეტი, ის ბათუმში უნდა გაიხსნას“, — წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი და მართლაც, მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ბათუმში გახსნილი სამასწავლებლო სასწავლებელი იქცა აჭარაში და მთლიანად რეგიონში იმ უმაღლესი განათლების კერად, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. სწორედ ამ სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა დღევანდელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც თავისი არსებობის 80 წლის იუბილეს აღნიშნავს.**

## მნიშვნელოვანი თარიღები:

\* 1935 წელი — გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი 4 ფაკულტეტით:

- ქართული ენისა და ლიტერატურის
  - ისტორიის
  - ფიზიკა-მათემატიკის
  - საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის
- \* 1936 წელს დაემატა ფიზიკულურის ფაკულტეტი
- \* 1938 წელს — რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი

\* 1945 წელი — ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. დაიწყო სასწავლებლის რეკონსტრუქცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა. 1956 წელს ექსპლუატაციაში შევიდა განახლებული შენობა;

\* 1977 წელს დაიწყო ახალი, ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომელიც 1982 წელს დასრულდა.

\* 1990 წელი — საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1990 წლის 3 სექტემბრის N453 დადგენილებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გაიზარდა სპეციალობათა რაოდენობა, ჩამოყალიბდა იურიდიული, ეკონომიკური და სამედიცინო ფაკულტეტები. ქვეყანაში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად, უნივერსიტეტი გადავიდა ორსართულიან სწავლებაზე: ბაკალავრიატი და მაგისტრატურა; ფუნქციონირებდა ასპირანტურაც. 2008 წელს ჩამოყალიბდა დოქტორანტურა.

\* 2006 წელი — საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის N37 დადგენილების საფუძველზე, განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის, ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, ბათუმის საავიაციო ინსტიტუტის, ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის, მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეორგანიზაცია. მათი გაერთიანების გზით დაფუძნდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. 2009 წელს უნივერსიტეტს შეუერთდა ბოტანიკური ბაღი, 2010 წელს — ნიკო ბერძენიშვილისა და ფიტოპათოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტები.

\* 2012 წელი — საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის N100 დადგენილების საფუძველზე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეეცვალა სახელი და ეწოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

\* 1938 წელი — ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. პირველი, 1935 წელი, ძირითადად, მოსამზადებელი იყო: აუდიტორიების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა, ბიბლიოთეკის ფონდის შექმნა, პერსონალის შერჩევა. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1935 წლის 9 იანვრის დადგენილებიდან: „არასრული საშუალო სკოლებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადების

მიზნით, ეთხოვოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა ქ. ბათუმში გაიხსნას პედაგოგიური

ინსტიტუტი სამი განყოფილებით: ფიზიკა-მათემატიკის, ისტორია-ფილოლოგიის და საბუნებისმეტყველო. მსმენელთა კონტინგენტი — 105 სტუდენტი“.

1935 წლის მაისში, როცა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსებასთან დაკავშირებით, მთავარ საკითხად მიჩნეულ იქნა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისთვის შესაფერისი შენობის გამოწახვა. 1935 წლის 1 ივნისს სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ხ. ნაკაიძე. პირ-



ველი ბრძანება 1935 წლის 13 ივნისით თარიღდება: მას ხელს ინსტიტუტის პირველი რექტორი — ხუსეინ ნაკაიძე აწერს.

1935 წლის 22 აგვისტოს გაიმართა პირველი სხდომა დირექტორის კაბინეტში. ეს დღე გამოცხადდა ინსტიტუტის გახსნის დღედ. სხდომაზე განიხილეს პირველი სასწავლო წლისთვის მზადების საკითხები...

1935 წლის 24 სექტემბრის ბრძანებით, ინსტიტუტში შეიქმნა 4 ფაკულტეტი.

1935 წლის 28 სექტემბერს დაინიშნენ პირველი დეკანები: გრიგოლ გორგაძე (გორგაძე) (ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი), ნიკოლოზ ლორთქიფანიძე (ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტი), ვუკოლ იაშვილი (ისტორიის ფაკულტეტი), გრიგოლ ივანოვი (ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი).

1935 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებით, დაფუძნდა 8 კათედრა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის.

სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი დეკანებისა და კათედრის გამგეების დიდი ნაწილი (გრ. გორგაძე, ნ. ლორთქიფანიძე, კ. ჭკუასელი და სხვები, 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლდნენ.

1935 წლის 1 ოქტომბერს დაირეკა პირველი ზარი. პირველ სტუდენტებს სასწავლო წლის

კ. ბაქრაძე, კ. კაპანელი, შ. ძიძიგური, დ. მგელაძე, კ. ჭკუასელი, გ. თავიშვილი, რ. ხუციშვილი, გ. კოკოჩაშვილი, ლ. ჯაფარიძე, ალ. მაყაშვილი, გ. ჯავახიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, გ. ციციშვილი, ვ. კოკოჩაშვილი, ა. ნოლაიძე და ბევრი სხვა. განუზომელია მათი ღვაწლი ბათუმში, აჭარაში უმაღლესი განათლების სისტემის ჩამოყალიბებასა და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებაში.

ბათუმის უნივერსიტეტის ძირითადი შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით სარგებლობს. სხვადასხვა წლებში განხორციელებული რეკონსტრუქციების შედეგად, შენობას მხოლოდ ნაწილობრივ აქვს შენარჩუნებული ავთენტურობა, ძირითადად — პირველი და მეორე სართულის ინტერიერსა და ექსტერიერს. შენობა, არქიტექტურული თვალსაზრისით, მეოცე საუკუნის 900-იანი წლების დასაწყისის ბათუმისთვის დამახასიათებელი ეკლექტიკური სტილის ნიმუშია, რომელშიც შერწყმულია

დანყება მიულოცეს ინსტიტუტის დირექტორმა — ხ. ნაკაიძემ, დეკანმა — გრ. გორგაძემ (გორგაძემ), პროფესორებმა — ვ. ბერიძემ და გ. ახვლედიანმა. ქალაქის საზოგადოებამ ეს დღე ზემოთ აღნიშნა.

პირველ სასწავლო წელს ინსტიტუტში 300 აბიტურიენტის განცხადება შევიდა, მათგან მხოლოდ 201 ჩაირიცხა სტუდენტად, 18 - სტუდენტობის კანდიდატად; ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — 47, ისტორიის სპეციალობაზე — 52, ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე — 56, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის სპეციალობაზე — 46.

ფასდაუდებელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე, ქუთაისის პედინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა თანადგომა ინსტიტუტის არსებობის პირველ წლებში. ისინი დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ამ საქმეს, წარმართავდნენ არა მარტო აკადემიურ პროცესს, არამედ საორგანიზაციო საკითხებსაც, ხელმძღვანელობდნენ კათედრებს, ადგენდნენ სასწავლო კურსების გეგმებს, კითხულობდნენ ლექციებს, სამეცნიერო კონსულტაციებს უწევდნენ ახალგაზრდა პედაგოგებს და ესმარებოდნენ მათ სამეცნიერო ხარისხის მოპოვებაში. ყოველივე ამაზე მეტყველებს საარქივო დოკუმენტები.

ბათუმის სამასწავლებლო, შემდეგ კი პედაგოგიური ინსტიტუტში მეცნიერების სხვადასხვა დარგში ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი ქართველი პროფესორები, შემდგომში აკადემიკოსები: გ. ახვლედიანი, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. ბერიძე, გ. წერეთელი, პ. ბერაძე, ს. ყუბანიშვილი, ს. კაკაბაძე,

კლასიცისტური და რუსული, ნაწილობრივ, ისლამური არქიტექტურის ელემენტები.

შენობა ვაჟთა, ე. წ. მიხეილის გიმნაზიისთვის აშენდა. ბათუმის მოქალაქეებმა გიმნაზიის გახსნისა და მისთვის შენობის გამოყოფისთვის ზრუნვა ჯერ კიდევ 1893 წელს დაიწყეს, როცა თვითმმართველი ქალაქ ბათუმის თავს 50-მა მოქალაქემ მიმართა შესაბამისი თხოვნით. ეს საკითხი 1895 წელს ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა თვითმმართველობის სხდომაზე გაიტანა და ის დადებითად გადაწყდა.

ვაჟთა გიმნაზია ამ შენობაში 1903-1918 წლებში იყო განთავსებული. მოგვიანებით ის თურქეთის არმიის, შემდეგ ბრიტანელების ყაზარმებად გადაკეთდა. შენობა იმდენად ახლოს იყო ზღვასთან, რომ შტორმის დროს ტალღები მის კედლებს ეხეთქებოდა. 1914 წელს გერმანული ხომალდიდან გამოსროლილი ყუმბარაც დაეცა შენობასთან ახლოს.

ვაჟთა გიმნაზიის შენობა გამორჩეული იყო იმდროინდელ ბათუმში მსხვილმასშტაბიანი, ფართო, გაშლილი რიზალიტითა და ფასადის არქიტექტურული ელემენტებით, რაც, უდავოდ, ალ. შიმკვიჩის ხელნერაა. შენობას ამკობდა ვრცელი ჰოლი, მარმარილოს კიბეები, სვეტები; მეორე სართულის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული იყო გუმბათოვანი დარბაზი და სამლოცველო. შენობა 500-მდე მოსწავლეზე იყო გათვლილი და სრულად აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნებს: გრძელი

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)





ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს ვულოცავ სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, კურსდამთავრებულებს და მთელ პერსონალს.

ჩვენი უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული სასწავლებელია ქვეყნის მასშტაბით, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განათლებისა და კულტურის განვითარებაში.

1893 წელს ბათუმში ვაჟთა გიმნაზიის გახსნით, რომელიც მოგვიანებით სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა, ჩვენს რეგიონში დაიწყო განსაკუთრებული შინაარსიანი და საინტერესო ისტორია. ხოლო მას შემდეგ, რაც 1938 წელს ინსტიტუტს მიეკუთვნა შოთა რუსთაველის სახელი, ბათუმი გახდა ერთ-ერთი მიმზიდველი საგანმანათლებლო ქალაქი არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და დღეს უკვე 80 წლის იუბილეს უნივერსიტეტი ბევრი საინტერესო სიახლით, სრულიად განსხვავებულ სასწავლო პროგრამებით, სწავლების ახალი მეთოდებითა და თანამედროვე ევროპული სასწავლებლებისთვის დამახასიათებელი სისტემით ხვდება. ბათუმის უნივერსიტეტმა შეიძინა საერთაშორისო პარტნიორები, გაღრმავდა კონტაქტები და ხორციელდება ერთობლივი საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები. დღეს, ისე როგორც არასოდეს, დამოუკიდებელი და აპოლიტიკურია სტუდენტური თვითმმართველობა.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა აქტიურად ზრუნავს განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. პარალელურად აჭარის არ. მთავრობასაც გააჩნია სხვადასხვა პროგრამა სტუდენტების დასახმარებლად. ზემოაქარის მკვიდრნი და სოციალურად დაუცველი სტუდენტები სარგებლობენ სტუდენტთა დაფინანსების პროგრამით. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მეორე წელი უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება, რომლის ფარგლებში ფინანსდება სტუდენტთა სწავლა და სტაჟირება, აკადემიური პერსონალის ტრენინგები, სემინარები და კვალიფიკაციის ამაღლება.

განათლება და მეცნიერება ჩვენი ქვეყნის მომავალია და დიდ წილად არის დამოკიდებული უნივერსიტეტზე და აკადემიურ პერსონალზე. ამიტომ მნიშვნელოვანია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი თითოეული მოქალაქის აღზრდაში.

ვისურვებდი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის დიპლომი გახდეს ერთ-ერთი მოთხოვნადი დასაქმების დროს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაეხსნას თავისი ფილიალები ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ წარმატებას ყველა ასპექტში, ყველა მიმართულებით, ქვეყნის მთავრობა კი ყოველთვის იზრუნებს იმაზე, რომ ახალგაზრდა თაობა, განათლებული, ერუდირებული და დამოუკიდებელი იყოს, რადგან სწორედ თქვენზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი.

**არჩილ ხაბაძე,**  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე



80 წელი ის ასაკია, როდესაც განვლილია და გაკეთებულია შეჯამების და შეფასების სრული უფლება გაქვს. რაოდენ სასიხარულოა, თუ მხოლოდ წინსვლას, მიღწევებს და სიკეთეს აღმოაჩენ განვლილ გზაზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძლია სრულიად საფუძვლიანად იამაყოს იმით, რომ აქვს თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევები და რაც უფრო მეტია, სწორედ აქ მიღებული ცოდნითაა აღჭურვილი რეგიონის სპეციალისტთა ნაწილი. პერსპექტივაც დიდია - საუნივერსიტეტო ქალაქ ბათუმის ფლაგმანს ახალი მიღწევებით — სწავლების ხარისხის, ყოფაცხოვრების პირობების, პედაგოგთა და სტუდენტთა ინტერესთა თანხვედრის გაუმჯობესებით საუნივერსიტეტო საქართველოს ფლაგმანობაც დამპყვენიდებოდა!

უფლის წყალობა არ მოჰკლებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის რექტორატს, პედაგოგიურ და ტექნიკურ პერსონალს და მის აღმატებულება — სტუდენტობას!

**ავთანდილ ზარიძე,**  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი არსებობის 80 წლის იუბილეს აღნიშნავს. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან ბათუმში არსებულ ვაჟთა გიმნაზიის შენობაში 1935 წელს გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც გახდა საფუძველი ბათუმში უმაღლესი განათლების ძირითადი კერის დაარსებისა. 1945 წელს მის ბაზაზე გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1990 წელს — უნივერსიტეტი. 1938 წელს სამასწავლებლო ინსტიტუტს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა, რომელსაც უნივერსიტეტი დღემდე ატარებს.

როდესაც ივანე ჯავახიშვილი საუბრობდა მეორე ქართული უნივერსიტეტის ბათუმში დაარსების აუცილებლობაზე, ამით აგრძელებდა ილიასა და მისი თანამოაზრეების მიერ დაწყებულ გზას და ყურადღებას ამახვილებდა ერთიან ეროვნულ საქმეში აჭარის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

ბათუმის უნივერსიტეტის სათავეებთან მდგომ თითოეულ მოღვაწეს გააზრებული ჰქონდა ის მისია, რაც უნდა ეტვირთა ამ ტაძარს. იგი უნდა გამხდარიყო არა მარტო განათლების კერა, არამედ-ეროვნული იდენტობის, ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის მატარებელი. ეს მისია ბათუმის უნივერსიტეტმა ღირსეულად შეასრულა.



დღევანდელბოამ უნივერსიტეტი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაციით, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებით შეიქმნა კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების ძლიერი ბაზა, რაც არა მარტო რეგიონის, — ზოგადად, ქვეყნის ძლიერების საფუძველია.

80 წლის იუბილეს ვულოცავ უნივერსიტეტის ყველა თაობის წარმომადგენელს, კურსდამთავრებულს, თითოეულ თანამშრომელს, სტუდენტს, ვინც დღემდე მოიტანა და განავითარა უნივერსიტეტის იდეა.

ჩვენ სიამაყით გაცეკერით წარსულ წლებს და „წარსულის პატივისცემით — უკეთესი მომავლისაკენ“ განვავრცობთ სვლას.

**მერაბ ხალვაში,**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი



უმაღლესი განათლების სისტემა ქვეყნის განვითარებისა და საზოგადოებაში მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულების დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედი. აღნიშნულის მიღწევაში დიდი როლი და ფუნქცია აკისრია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც ათწლეულების მანძილზე ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ვითარდება მსოფლიო განათლების რიტმის შესაბამისად და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების რელევანტური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე.

ძვირფასო პროფესორ-მასწავლებლებო, სტუდენტებო! გილოცავთ ჩვენი უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს. მისარია და ამაყი ვარ, რომ ერთად გადავლახეთ ის გამოწვევები, რაც ჩვენს წინაშე იდგა წლების განმავლობაში და მჯერა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეინარჩუნებს და შეასრულებს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას.

**პატივისცემით, ბიორეზი ტაყაშვილი**  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

2015 წელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საიუბილეო წელია! მან თავისი არსებობა 1935 წელს დაიწყო და თავდაპირველად სამასწავლებლო ინსტიტუტი გახლდათ, რომელიც საბოლოოდ საუნივერსიტეტო დანესებულებაში გადაიზარდა.



და. თავისი არსებობის მანძილზე ამ ცნობილმა საგანმანათლებლო კერამ 80-წლიანი განვითარებისა და წინსვლის ისტორია შექმნა. მსურს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და მესვეურებს, მივულოცო ეს საიუბილეო თარიღი და ვუსურვო წარმატებები უმაღლესი განათლებისა და კვლევის საინტერესო გზაზე.

რეალობაა, რომ ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტიდან დღეს მივიღეთ მრავალფუნქციური საგანმანათლებლო დანესებულება, რომელიც ინარჩუნებს ფუნდამენტურ დარგებს და ამავდროულად, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წერგავს და ავითარებს ახალ მიმართულებებს. უნივერსიტეტში მოქმედებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტიურის საგანმანათლებლო პროგრამები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ ძალისხმევას იჩენს, რომ მოამზადოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად წერგავს და ავითარებს უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო პროექტებსა და პროგრამებში და უნივერსიტეტის აკადემიური თუ სამეცნიერო პერსონალი აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში.

საზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონული უნივერსიტეტების ხელშეწყობასა და მათ განვითარებას. რეგიონული უნივერსიტეტების აღორძინება სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულად ფასეულია, ამიტომ დღევანდელი თარიღი საზეიმო არა მარტო ბათუმის უნივერსიტეტისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც. კიდევ ერთხელ ვულოცავ საიუბილეო წელს ბათუმის უნივერსიტეტს და ვუსურვებ დაწყებული გზის წარმატებით გაგრძელებას დროის მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ ღირსეული და პროფესიონალი ახალგაზრდების აღზრდა.

**თამარ სანიძე,**  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებს ვულოცავ უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლის იუბილეს. ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის იყო გამორჩეული და მემამყება, რომ დღესათვისაც ძლიერი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ბაზა აქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კარგი სპეციალისტების აღზრდისთვის. მჯერა, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის შეასრულებს რეგიონის ერთ-ერთი მთავარი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას. კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს, წინსვლასა და წარმატებებს გისურვებთ!

**ბიორეზი ტაყაშვილი,**  
ქალაქ ბათუმის მერი



(დასაწყისი მე-2 გვერდზე)

# უნივერსიტეტი 80 წლისაა

და ნათელი დერეფნები, დიდი აუდიტორიები. პირველ სართულზე 8 აუდიტორია იყო, ასევე, სპორტული დარბაზი, კანცელარია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი; მეორე სართულზე კი სამლოცველო, საექტო დარბაზი, 8 აუდიტორია, ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები.

1935 წელს, გომნაზიის ყოფილ შენობაში განთავსდა საქართველოს განათლების სახალხო კომისიის ბრძანებით შექმნილი ორნლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი.

1950-იან წლებში ინსტიტუტის შენობას მესამე სართული დაამატეს. სწორედ ამ დროს მოიხსნა შენობის ცენტრალურ ნაწილზე გუმბათი და ამ ნაწილში განთავსდა ობსერვატორია.

1977 წელს დაიწყო და 1982 წელს დასრულდა უნივერსიტეტის ახალი ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობა.

1990 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უამრავი სტუმარი ჰყავდა იმ დღეს უნივერსიტეტს. ხალხმრავლობის გამო გადაიკეტა რუსთაველის ქუჩა, მიტინგი ახალი კორპუსის კიბეებზე გაიმართა. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. დ. ბალაძემ მთელ საქართველოს მიულოცა ეს ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა და აღნიშნა, რომ ახდა დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნება საქართველოში მეორე უნივერსიტეტის ბათუმში გახსნის თაობაზე.

საქართველოს განათლების მინისტრმა, გ. ენუქიძემ აღნიშნა: „ბათუმის უნივერსიტეტი სრულიად საქართველოსთვის საჭირო, აუცილებელი და მნიშვნელოვანი სასწავლო, სამეცნიერო და კულტურის ცენტრი უნდა გახდეს; მას მოეთხოვება, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ იგი უნდა გახდეს ქართველოლოგიური და აღმოსავლეთმცოდნეობითი კვლევის დიდი ცენტრი. სწორედ ამ გზით განაგრძობს ის საშუალო საუკუნეების ქართული აკადემიებისა და დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ტრადიციებს“.

საპატიო სტუმართა შორის იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მან ბრძანა: „საქართველოს ამ კურთხეულ მინაზე იხსნება უნივერსიტეტი. ამაზე ოცნებობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები. ეს ისეთივე მნიშ-



ვნელობის ზემოთა, როცა იხსნებოდა თბილისის უნივერსიტეტი, როცა იგი აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა. რას მოელის სამშობლო ბათუმის უნივერსიტეტისაგან? ეს პროგრამა მოგვცა დიდმა დავით აღმაშენებელმა, როცა გელათის აკადემიას ხსნიდა, იგი ჩვენში ახალი ათინა და ახალი იერუსალიმი უნდა იყოსო. სამშობლო ამას ელოდება უმაღლესი სასწავლებლისაგან“. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უნივერსიტეტს ბიბლია გადასცა საჩუქრად, ხოლო უნივერსიტეტის რექტორი ოქროს ჯვრის ტარების პატივით დააჯილდოვა: „ღმერთმა დალოცოს ბათუმის უნივერსიტეტი, ერი მისგან ელოდება მაღალ ზნეობას. გადავწყვიტეთ, რომ უნივერსიტეტის რექტორი დაჯილდოვდეს ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. ჯვარი ესე ეძლევა მას, როგორც სიმბოლო ძლევისა და მოქცევისა. ეს ჯვარი მემკვიდრეობით უნდა ატაროს მომავალში ყველა რექტორმა“.

უნივერსიტეტის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია, რომელმაც საზოგადოებას უნივერსიტეტის დაარსება მიულოცა: „მისასალმებელია, რომ ბათუმი ამიერიდან საუნივერსიტეტო ქალაქი გახდება. იგი გაიხსნა ძველი ქართული ქრისტიანული კულტურის მხარეში, რომელმაც წარმოშვა დიდი სულიერი მამები...“

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები: გიორგი ციციშვილი, ივანე კილურაძე, პოეტი ფრიდონ ხალვაში, საქართველოს სხვა უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების რექტორები, პროფესორი კონსტანტინე ჯმუხაძე, დოცენტები ნადია ჯიბუტი და ონისე სურმანიძე, სტუდენტი ჯუმბერ ვარდმანიძე, აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თენგიზ ხახვა, საქართველოს ცეკვაშირის თავმჯდომარე რესან კონცელიძე.

გამომსვლელები აღნიშნავენ, რომ ბათუმის უნივერსიტეტის ვალია, ღირსეულად განაგრძოს ქართული საუნივერსიტეტო ტრადიციები და იქცეს მძლავრ სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერად.

საქართველოს ცეკვაშირმა, რესან კონცელიძის განცხადებით, მილიონნახევარი მანეთი გადასცა უნივერსიტეტს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და ლაბორატორიების მოსანწყობად.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი ზარი 1990 წლის 3 ოქტომბერს დაირეკა. ეს პატივი წილად ხვდა მსცოვან პედაგოგს, პარმენ პატარაიას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც სტუდენტების, პრო-

ფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევართა თანამშრომლობით შექმნილია აკადემიური განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ერთიანი სივრცე.

### ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღესათვის აერთიანებს 9 ფაკულტეტს:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
- ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის
- განათლების
- ტექნოლოგიური
- ეკონომიკისა და ბიზნესის
- იურიდიული
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
- ტურიზმის

უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 6000-მდე სტუდენტი სწავლობს.

2011-2012 წლებში უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და აკრედიტაცია. უნივერსიტეტი სტუდენტებს სწავლების სამივე საფეხურზე პროგრამების დიდ არჩევანს სთავაზობს: 6 — ავტორიზირებულ პროფესიულ, 43 — საბაკალავრო, 29 — სამაგისტრო, 15 — სადოქტორო, 3 — ერთსაფეხურიან და 2 — მოკლევადიან პროგრამას. უნივერსიტეტი ინარჩუნებს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დარგებს, ამავე დროს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ავითარებს ახალ, მოთხოვნად, აქტუალურ მიმართულებებს.

უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართულია 276 პროფესორი, 70 მეცნიერი თანამშრომელი და 400-მდე მონწილე მასწავლებელი, ასევე — 21 ემერიტუსი პროფესორი.

უნივერსიტეტს აქვს თავისი ატრიბუტიკა, რომელშიც აისახა მისი მთავარი არსი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ემზადებოდა პირველად 2005 წელს შეიქმნა. გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხატვრებმა: ჯ. მიქელაძემ (2 ესკიზი), ზ. ხაბაძემ (5 ესკიზი),

თ. ლლონტა (4 ესკიზი). შეიქმნა ტენდერის შედეგების შემაჯამებელი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: პროფ. ბ. დიასამიძე (თავმჯდომარე), პროფ. მამია ფალავა, დოცენტები: მ. ჯინჭარაძე, მ. მეგრელიშვილი, გ. შერვაშიძე, ლ. თავდგირიძე, ლ. ჯაყელი. კომისიამ გამოავლინა გამარჯვებული ნამუშევარი — ზ. ხაბაძის მიერ შექმნილი ესკიზი „ნიგნი გვირგვინით“ (ზღვა, წიგნი, გვირგვინი სხივებით).

2006 წელს შეიქმნა უნივერსიტეტის ახალი გერბი, რომელიც დღემდე გამოიყენება. გერბის ესკიზის ავტორია ბათუმელი მხატვარი ...დავით სერგია (მშპ „ელბი სტუდიო“):

უნივერსიტეტის მედალი შეიქმნა 2012 წელს. ესკიზის ავტორია პროფ. გ. ფარცხალაძე.

მედალი გადაეცემა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორებსა და სხვა საპატიო სტუმრებს.

საუნივერსიტეტო განათლებას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. განვლილი 80 წლის მანძილზე ბათუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, შემდეგ კი შოთა რუსთაველის სახელ-



მნიფო უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განათლებისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

დღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი გამოწვევების წინაშე დგას: სწავლისა და სწავლების, საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვე ევროპულ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა, საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება, უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელოვანი გაზრდა, დემოკრატიული რეფორმებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მხარდაჭერა, საზოგადოებასთან თანამშრომლობის მრავალფეროვანი ფორმების დამკვიდრება, - მხოლოდ ამ ამოცანების გადაჭრის გზით შესძლებს უნივერსიტეტი შესარულოს თავისი უპირველესი მისია - ემსახუროს საზოგადოებას და წარმოადგინდეს საზოგადოებრივ სიკეთეს.







# ბათუმის უნივერსიტეტი რეგიონულ პრესაში

ბათუმში უმაღლესი საგანმანათლებლო კერის დაარსება გახლდათ ილიასა და მისი თანამოძმეების მიერ დაწყებული გზის გაგრძელება. 1935 წელს ვაჟთა გიმნაზიის შენობაში სამასწავლებლო სასწავლებლის შექმნით საფუძველი ჩაეყარა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც დღეს არსებობის 80 წლის იუბილეს აღნიშნავს. 1936 წლიდან იგი როგორც პედაგოგიური ინსტიტუტი აგრძელებს და მალევე ენიჭება შოთა რუსთაველის სახელი, რომელსაც დღესაც ღირსეულად ატარებს.

უმაღლესი განათლების კერის დაარსება სათანადოდ აისახა იმ პერიოდის რეგიონულ პრესაში. იმ დროისათვის ძირითადი ორგანო გახლდათ 1921 წელს დაარსებული გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, რომელიც ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენდა.

1935 წლის გაზეთის მიმოხილვა, რომელიც მაშინ „საბჭოთა აჭარის ტანად“ იწოდებოდა, გვიჩვენებს თუ რა დიდ ინტერესს იჩენდა პერიოდული პრესა რეგიონში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების მიმართ. პირველი სექტემბრის ნომერი მთლიანად ეძღვნება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, თუმცა შემდეგ ნომრებშიც შეხვედებით სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ სტატიებს. მაგალითად 11 სექტემბრის ნომერი აქვეყნებს, რომ სასწავლებლის ბიბლიოთეკა მზადაა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, 15 სექტემბრის ნომერი კი გვესაუბრება სასწავლებელში ჩარიცხულ წარჩინებულ მოწაფეებზე და გვთავაზობს მათ ფოტოებსაც.

საინტერესოა გაზეთის ნომერის ნომერი, რომელშიც ოქტომბრის წლისათვისადმი მიძღვნილი სტატიების გვერდით გვთავაზობს პედაგოგიური სასწავლებლის იმ წარჩინებული სტუდენტების ფოტოებს, რომლებიც 1917 წელს და-



იბადნენ და რეგულაციის თანატოლები გახლდნენ.

1936 წლის 158-ე ნომერი აქვეყნებს ა.დარახველიძის წერილს „პედაგოგიური ინსტიტუტი“, რომელიც სრულ ინფორმაციას გვანვლის ინსტიტუტში მიმდინარე სასწავლო პროცესისა და სხვა აქტივობების შესახებ. რა თქმა უნდა, წერილი კომუნისტური პათოსითაა დაწერილი, მაგრამ იგი მაინც საინტერესო ინფორმაციების შემცველია. წერილში ვკითხულობთ:

„1935-1936 სასწავლო წლისათვის დაწესებული კონტინგენტი - 160 კაცი დიდი გადაჭარბებით შესრულდა. ეს არის ლენინურ-სტალინური და ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების შედეგი, საუკეთესო გამოხატულება იმისა, თუ რა უსაზღვროდ ზრუნავს ლენინ-სტალინის დიადი პარ-

ტია, საყვარელი ბელადი გენიოსი სტალინი და საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი ქვეყნის ხალხთა შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღორძინების, ნაციონალურ რესპუბლიკებში ახალი კადრების აღზრდისა და მშრომელთა შემოქმედებითი ნიჭის და ენერჯის მძლავრი გაფორმებისათვის.“

1936 წლის 185-ე ნომერი გვაცნობს ინსტიტუტის ახალ სტუდენტებს და დასძენს, რომ ბათუმში სასწავლებლად ჩამოდიან არა მხოლოდ აჭარის რაიონებიდან, არამედ მიმდებარე რეგიონებიდანაც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ უმაღლესი სასწავლებლის მნიშვნელობას დასავლეთ საქართველოსათვის. „სხვა რეგიონებიდანაც შემოდიან სასწავლად ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში. აი, მიხეილ

გიორგაძე, იგი ლანჩხუთის რაიონიდანაა.

„საბჭოთა აჭარის“ 1936 წლის 189-ე ნომერი აქვეყნებს წერილს „კადრების სამჭედლო“, რომელიც დასრულებული სასწავლო წლის ერთგვარ შეჯამებას აკეთებს და მკითხველს აცნობს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ.

1938 წელს სასწავლებელს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა, რომელსაც დღემდე ატარებს. მართალია ამ წლის ოფიციალურ პრესაში ვერ ვიპოვეთ ამ გადაწყვეტილების ამსახველი მასალა, მაგრამ ერთ-ერთი სტატია სათაურით „მასწავლებელთა ახალი კადრები“ სასწავლებელს განათლების უმაღლეს კერად მიიჩნევს, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს აქვეყნებს

მზარდმა კონტიგენტმა განაპირობა ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობის აუცილებლობა, რომლის მშენებლობა 1977 წელს დაიწყო და ექსპლუატაციაში 1982 წელს შევიდა.

1982 წლის „საბჭოთა აჭარის“ პირველი სექტემბრის ნომერი ამ მნიშვნელოვან მოვლენას ასაუბრებს და საზს უსვამს ახალი შენობის მნიშვნელობას, რაც ახალი პერსპექტივებს უსახავდა თავად სასწავლებელს.

1990 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რამაც ამ სასწავლებელს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მისცა სწავლა-განათლების პროცესი გაეფართოებინა და სხვადასხვა მიმართულებით წარემართა. ეს მოვ-



უკვე რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ფრიადოსან კურსდამთავრებულთა ფოტოს.

1939 წლის 153-ე ნომერი მთელ გვერდს უთმობს სამასწავლებლო ინსტიტუტს. იგი გვაცნობს ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველ კურსდამთავრებულებს და გვთავაზობს წერილებს „პედაგოგიური კადრების სამჭედლო“, „ახალი ადამიანები“ და „ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა“.

1945 წელს სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე პედაგოგიური ინსტიტუტი ამოქმედდა. ამ მხრივ საინტერესოა ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგის ა.დარახველიძის წერილი „პედაგოგიური ინსტიტუტი“, რომელშიც აღნიშნავს, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნა მნიშვნელოვანი გახლდათ არა მარტო აჭარის, არამედ მეზობელი რეგიონებისათვისაც. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და შექმნილ საცხოვრებელ პირობებზე, რაც მნიშვნელოვანი საფუძველი იყო ღირსეული კადრების აღსაზრდელად.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი მუდმივად მზარდ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებად იქცა. მან შეძლო მასწავლებელთა კადრებით არა მარტო აჭარის, მისი მალაღმბიანი რაიონების, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს უზრუნველყოფა. ახალმა მოთხოვნებმა და ყოველწლიურად

ღენა არც რეგიონული პრესის მიღმა დარჩენილა. თუკი პირველი სექტემბრის ნომერი მხოლოდ მაშინდელი ხელმძღვანელის მილოცვას აქვეყნებს, 8 სექტემბრის ნომერი მთლიანად ამ მოვლენას შეეხება. საინტერესოა წერილია უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორისა, ბატონი დურსუნ ბალაძისა სათაურით „ახდენილი ოცნება“, რომელშიც სიხარულთან ერთად ბათუმის საუნივერსიტეტო ქალაქად ქცევის პერსპექტივაზე საუბრობს.

ეს ნომერი მთლიანად აგებულია იმ პერიოდის გამორჩენილი სახელმწიფო მოხელეების, მეცნიერებისა და ხელოვნების გამორჩეულ სახეთა მილოცვებით. აქ იხილავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ნოდარ ამალლობელის, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის როინ ჭიკაძის, აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილის, შოთა როყვას, ზაზა სიხარულიძის, მაყვალა მრეველიშვილის, ნაზი კლა-სონიას, მარიკა ბარათაშვილის, ნინო თოფჩიშვილის, კლავდია დევდარიანის და სხვათა მილოცვებს. რედაქციას არც უნივერსიტეტის პირველი სტუდენტები დაავიწყებია და მათი სიხარულიც გაუზიარებია.

როგორც ამ პატარა მიმოხილვითაც ჩანს, უნივერსიტეტის ყოველი ნაბიჯი შესაბამისად აისახებოდა რეგიონული პრესის ფურცლებზე. დღესაც ფეხდაფეხ მიჰყვება მასმედია უნივერსიტეტის ცხოვრებას, რითაც მომავალი თაობისთვის ქმნის ისტორიის მატყინებს.



ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის ფრიადოსან კურსდამთავრებულთა ჯგუფი. ზედა რიგში—ა.ბ. შივაჯანაძე, მ. შარაშიძე, კ. გუჯაბიძე, ა. ჩამიშვილი; ქვედა რიგში—ა.ბ. თებეძე, თ. მელუაშვილი.



მომავალი პედაგოგები ა.ბ. ა.ბ. ხასან კახიძე, მერი ჯაფარიძე, მიხეილ გორგაძე, მამუდ კუჭუბიძე









80 წელია ჩვენი უმაღლესი სახანავე-ბელი ემსახურება სახალხო განათლებას; აქ იზრდებიან, მეცნიერებათა საფუძვლებს ეუფლებიან ახალგაზრდები და შემდეგ წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ან ახალი ცოდნით გამდიდრებული უბრუნდებიან მშობლიურ სასწავლებელს.

ზრდიდა თაობებს და თვითონაც იზრდებოდა, მალდებოდა, ღამაზდებოდა და მშვენივრად 1935 წელს დაარსებული შოთა რუსთაველის სახელობის ორნლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1945 წელს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა.

სწორედ ამ ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის (ქართული განყოფილების) სტუდენტები გახდით 1948 წელს 80 ახალგაზრდა.

უნდა გენახათ, როგორი მონუსერიგებული იყო ყველა და ყველაფერი ამ ცამეტციოდ წლის სასწავლებელში - ორსართულიანსა და ერთკორპუსიან შენობაში.

ჩემი, როგორც სტუდენტის პირველი შთაბეჭდილება ინსტიტუტზე უკავშირდება ბატონ ალექსანდრე ჩავლიაშვილს, რომელმაც ჩავიკარა პირველი ლექცია მაშინდელ მე-5 (ახლანდელი 21-ე) აუდიტორიაში ლიტერატურისმცოდნეობის შესავალში; მიგვხვდა და ვინმეზე (მეც და სხვებზეც), რომ ჩვენს ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ხანა, აღმოჩნდით განსხვავებულ სამყაროში, მანამდე უცნობი, ღამაზ სამყაროში. ასე გრძელდებოდა ბოლო კურსამდე - ინსტიტუტის დათავრებამდე ლიტერატურის თეორიის, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის, სპექტრის ლექციებზე.

სტუდენტობის წლების მოგონებები ხომ პირველ ყოვლისა იმათი გახსენებაა, იმათზე მოგონებებია, ვინც გვასწავლიდა,



ვისაც შევყავით მეცნიერებათა საფულოში, ვისგანაც ვსწავლობდით წიგნზე მუშაობას, საკითხისადმი კრიტიკულ მიდგომას, ვინც გვაბეჭდებდა, გვაწვევდა საკუთარი აზრის გამოთქმას.

ჩვენც ვმუშაობდით, ვმუშაობდით წიგნებზე, დასახელებულ ლიტერატურაზე, წყაროებზე. არ გვიხდებოდა „ინფორმაციის მოძიება“ ინტერნეტში (ახლანდელთაგან განსხვავებით); წიგნი იყო ჩემი (და ჩვენი) მთავარი წყარო; ვკითხულობდით ფაქტებით ხელში, ვინიშნავდით, ვინერდით ლექციებს და... ასე ვსწავლობდით საყვარელ მასწავლებელთაგან, მიყვებოდით მათ მიერ ნაჩვენებ გზას მეცნიერებაში.

გვასწავლიდნენ ცნობილი ადამიანები, შესანიშნავი სპეციალისტები, რომელთაგან უმეტესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იყო (მაშინ არ ვიცავით ასე მდიდარი ადგილობრივი კადრები).

# ჩემი სწავლებლობა

ლექციებს გვიკითხავდნენ ნიკოლოზ კანდელაკი (ფოლკლორში, გამომეტყველების კითხვასა და ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიაში), კონსტანტინე კაპანელი (საზღვარგარეთის ლიტერატურაში), ოთარ ჩხეიძე, დავით ლაშქარაძე (მსოფლიო ლიტერატურაში), პანტელეიმონ ბერაძე (ანტიკურ ლიტერატურაში), მამია დუმბაძე (საქართველოს ისტორიაში), ვლადიმერ ნორაკიძე (ფსიქოლოგიაში), კუკური ლილუაშვილი (ახალ ისტორიაში), ელისა აბრამიშვილი (მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურაში), ილია მაისურაძე, როგენა ლამაშიძე (ქართული ენაში), ძველ ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა ბატონი ბიძინა ქიქოძე, რომელიც ჯერ თბილისიდან ჩამოდიოდა, შემდეგ ბათუმში დამკვიდრდა და დირექტორის მოადგილე იყო. ბატონი კონსტანტინე ნიშვილის ლექციებმა (ენათმეცნიერების შესავალში, ზოგად ენათმეცნიერებაში, ახალ ქართულ ენასა და ძველ ქართულ ენაში) გვახარა ქართული ენის სიმდიდრეს, მის სიღრმესა და სიდიადეს, მანვე განსაზღვრა ჩემი მომავალი მუშაობის სფერო. ამ, ე.წ. ჩამომსვლელი ლექციორების გვერდით იყვნენ აქაური ლექციორები - შოთა ნიჟარაძე, ჯემალ ნოღაიდელი, ოთარ ფარეშვილი, პარმენ პატარია, გრიგოლ ბაბილოძე, გრიგოლ ჯიჯიშვილი, მიხეილ პატარია, დომენტი კილაძე, რომლებიც სხვადასხვა საგნის ლექციებსა თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე ამდიდრებდნენ ჩვენს ცოდნას. ინსტიტუტში მიღებულ თეორიულ ცოდნას ვიყენებდით პედაგოგიურ პრაქტიკაზე, რომელიც სწავლისაგან მონყვეტი გვიტარებდა და მეოთხე კურსებზე, ვატარებდით ოთხ საცდელ გაკვეთილს ქართულ ენასა და ქართულ ლიტერატურაში ცნობილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით (პედაგოგიური პრაქტიკა ორივე წელს ჩავგიტარა მაშინდელ პედაგოგიურ სასწავლებელში).

პირველკურსელებს ინსტიტუტის დირექტორად დაგვხვდა თბილისელი ვახტანგ პარაკაძე, მან მხოლოდ ერთ წელიწადს იმუშავა. ვ. პარაკაძე შეცვალა ჩვენი ქალაქის მკვიდრმა ნადიმ ნიჟარაძემ. გამორჩეული დირექტორი იყო ბატონი ნადიმ ნიჟარაძე - ინსტიტუტის ბედზე, მის კოლექტივსა და სტუდენტებზე მზრუნველი. ბატონი ნადიმთან ერთად ინსტიტუტის წარმატებისათვის იღვწოდა მისი მოადგილე - პლატონ მგალობლიშვილი. ბუნებრივია, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან ახლოს იყო ფაკულტეტის დეკანი - ჯერ პარმენ პატარია, შემდეგ - მიხეილ პატარია. საინტერესო სტუდენტობა გვექონდა. ვატარებდით სხვადასხვა საფაკულტეტო ღონისძიებას. ქართული ლიტერატურის კათედრის გამგის - დოცენტ ალ. ჩავლიაშვილის ხელმძღვანელობით წიგნების, მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვებს. ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლს ითამაშა სტუდენტთა რესპუბლიკური კონფერენციები. ინსტიტუტში ჩვენი სწავლების პერიოდს დაემთხვა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მესამე და მეოთხე კონფერენციები. მესამე კონფერენ-

ცია ჩატარდა ბათუმში, მას ჩვენი ინსტიტუტი მასპინძლობდა. მომხსენებელ სტუდენტებს ახლდნენ ხელმძღვანელები - ცნობილი მეცნიერები. გარანდობა შეხვედრას ბათუმის „ინტურისტში“ თამადადობდა ბატონი ნადიმ ნიჟარაძე. მეოთხე კონფერენცია ჩატარდა ქ. ცხინვალში (მაშინდელ ქალაქ სტალინში). ასე ვიზრდებოდით, გვიფართოვებოდა ცოდნის პორიზონტი, გვიღრმავებოდა ინტერესი. 1952 წელს ჩავაბარეთ სახელმწიფო გამოცდები, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - ბატონი დიმიტრი მგელაძე. დირექტორმა - ბატონმა ნადიმმა დაგვილოცა გზა მეხუთე გამოცდების კურსდამთავრებულს. ვიგონებ ჩვენს ამადგარ მასწავლებლებს - უკვე მარადისობაში გადასულთ, არცერთი აღარ არის ამქვეყნად. ვიგონებ უღრმესი მადლიერებით და უზენაესს ვთხოვ მათი სულების ნათელში ყოფნას. შემომეცალნენ კურსელებიც, ცოტაინდა დავრჩით. ვეღარ ვხვდებით ერთმანეთს, ზოგის შესახებ აღარაფერი ვიცით წლებით დამიძიმებულენაში. 80 წელი გასულა... ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე ჩვენს უნივერსიტეტში - გაემრავლნენ, გაძლიერდნენ. სახელოვან ოუბლეს ვულოცავ მშობლიურ უნივერსიტეტს, მის პედაგოგიურ კოლექტივს, სტუდენტობას; ვუსურვებ ახალ-ახალ წარმატებებს.

**მერი ცინცაძე,**  
ემერიტუსი პროფესორი

ბათუმს ბევრი ამაღლებელი დღე ახსოვს, მაგრამ 1978 წლის 26 მაისი გამორჩეულია, რადგან მან აჩვენა, როგორი ერთსულოვანია ხალხი, როცა საკითხი ეროვნულ ინტერესებსა და ენას ეხება. დღეს გლობალიზაციამ შეაფერხა ეროვნული ენები, არადა, ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას სწორედ ენის დაცვა უნდა ედოს საფუძვლად. მიზეზთა გამო მისი სწავლება სკოლებსა და უმაღლესი სასწავლებლებში სათანადო დონეზე არ დგას.

1978 წლის 26 მაისის მოვლენები ბათუმში მოგონებების სახით გამოქვეყნდა, თუმცა ეს მოვლენა სრულყოფილად ვერ არ განაღწივებოდა, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ერთეულებს ავტონომია ეთნიკური განსხვავებულობის გამო მიეცათ, აჭარბა მუსლიმანური აღმსარებლობა იქცა ამის საფუძვლად. ავტონომიამ დააჩქარა აჭარის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარება, მაგრამ, განსხვავებული აღმსარებლობის გამო, ის კარგა ხანს უცხო სხეულად აღიქმებოდა საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, რასაც განიცდიდა აქაური მოსახლეობა. ამან გაამძაფრა სამშობლოს სიყვარული და განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა ქართულ ენას, ეროვნული იდენტობის ნიშანს. იმდროისთვის უჩვეულო პოლიტიკურ აქციებში მესტად აქტიურობდნენ ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტები. მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების გონივრული მოქმედებით, თბილისისაგან განსხვავებით, აქ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.


60-იანი წლების დასაწყისში პრესაში იბეჭდებოდა მონოდებები ქართული ენის სინონიმის დასაცავად. მაგალითად, ბათუმის პედინსტიტუტში, ახალგაზრდა ლექტორი თანამშრომელი იყვნენ მერი გორდევაძე, ლამარა თადეაძე, ლუბა კორიფაძე, მამუკა ქეჩიძე, პეტრე ბაუაშვილი, ლილა რურუა, მასწავლებლები: თეორ მგელაძე, ამირან მელუა, ვარდო თადეაძე, ვიქტორ ლორთქიფანიძე, ჟურნალისტი დანიელ კუჭავა, ინჟინრები: შოთა კიკრაშვილი, ცოტნე ყენია, ნოდარ პატარია, მეღვინე ტყეშელაშვილი, აროლო მელუა, ეკონომისტი ცილა ჯობიაძე, მხატვარი როლანდ ჩხიკვიძელი და სხვები. წერებოდა იხდინდნენ სანეროს, შემოიღეს ბილეთები, ატარებდნენ ღონისძიებებს. ეს ხელისუფლებამ აქტივისტებს დანაშაულად, „ნაციონალისტურ საქმიანო-

ბად“ ჩაუთვალა და ზოგი სამუშაოდან გაათავისუფლა და ზოგიც სკკპ რიგებიდან გარიცხა, რაც მაშინ მძიმე სასჯელი იყო. პ. ბაუაშვილი გულსტკივილით იგონებს: „ყველაზე დიდი ბოროტება ის გახლდათ, რომ სამშობლოს, დედაენის სიყვარულისთვის, მისი სინონიმის მცდელობისთვის ადამიანები სასტიკად დასაჯო, ანამო, ნაციონალისტებად მონათლო.“

საბჭოთა ხელისუფლება ემზადებოდა რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისათვის. ეს გაცხადდა 1977 წელს მიღებული კონსტიტუციითაც. მოკავშირე რესპუბლიკათა ხელმძღვანელებს მიეცათ დირექტივა, კონსტიტუციებში აღარ შეეტანათ დებულება ეროვნული ენების სახელმწიფო ენებად გამოცხადების შესახებ.

14 აპრილს ათათასობით ადამიანი შეიკრიბა თბილისში, მთავრობის სასახლესთან მოთხოვნით, რომ კონსტიტუციის 75-ე მუხლში აღდგენილიყო ქართული ენის

ხშირად ხდებოდა საჭირო იმის მტკიცება, რომ აჭარლები ქართველები არიან, ამიტომ კრების დასაწყისშივე სიტყვით გამოსვლა მოვიტოვე, პროექტის 70-ე მუხლში შეტანილი იყო დებულება, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის მშობლიური ქართული ენა.“ სიტყვა „მშობლიური“ ვიქცეოდი, რომ განსაკუთრებით გაცემებოდა ხაზი აჭარლების ეთნიკურ ქართველობას. დღემდე მიმანია, რომ აჭარის არ. კონსტიტუციაში ქართული ენისათვის სახელმწიფო სტატუსის ჩანერგას სწორედ ეს ფუნქცია უნდა შეესრულებინა. სხვა შემთხვევაში, ცვლილება ისედაც ვრცელ-



## ბათუმის პედინსტიტუტის ეთი ამალეცხები და ამალეცხები დუ

სახელმწიფო ენის სტატუსი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სტუდენტები. არაოფიციალური ინფორმაციით, ეს მოხდა ე. შევარდნაძის არაპირდაპირი მინიშებით. ქართველთა ურევება ნებად და ერთიანობამ, ხელმძღვანელობის პრინციპულობამ შედეგი გამოიღო, კონსტიტუციის 75-ე მუხლში ჩაინერგა: „საქართველოს სსრ უბრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დანერგებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის.“ ამიტომაც, რომ ქართველობა 14 აპრილს დედაენის დღეს ზეიმობს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკასაც 26 მაისამდე უნდა მიეღო ახალი კონსტიტუცია. პროექტი 16 მაისს გამოქვეყნდა, სადაც არაფერი იყო ნათქვამი აჭარაში ქართული ენის სტატუსზე. ინსტიტუტში საკითხი პირველად 20 მაისს, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიულ კრებაზე განიხილეს. კრების მონაწილეებში და ჩემშიც, ცოცხლობდა 14 აპრილის ექო და განცდები, რომლებიც შესაძლოა საქართველოს სხვა კუთხეთა შვილებს არ განუცდიათ. მოსკოვში გამოსულ განუთში წერს „თარგმნილია აჭარულიდან.“ 1977 წლის დაბეჭდილ სტატისტიკურ კრებულში «ჩინიშენ NNND» ეწერა: საქართველოში ცხოვრობენ — ქართველები, აფხაზები, ოსები, აჭარლები, რუსები და ა.შ.; ჩვეულებრივ საუბარშიც, განსაკუთრებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ, საქაზოდ

დებოდა აჭარაზეც. სერგო დუმბაძემაც იგივე მოითხოვა, მან პროექტის პრეამბულაში დაიწუნა გამოთქმა „აჭარელი ხალხი“ და უფრო დეტალურად ახსნა აჭარის ავტონომიის სპეციფიკურობა.

სამუშაოზე, 20 მაისის ფაკულტეტის კრების ოქმი არქივში არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ენახეთ 29 მაისს ჩატარებული ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის კრების ოქმი, სადაც უფროსი მასწავლებელი ნაზი მიქელაძე ამბობს: „20 მაისს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიულ კრებაზე სერგო დუმბაძის და ბიჭოკი დიასამიძის მიერ დაყენებული საკითხები რომ გაეთავალისწინებინათ, 26 მაისის ამბები არ მოხდებოდა.“

კონსტიტუციის პროექტები განიხილეს ინსტიტუტის სხვა ფაკულტეტებზეც, ასევე ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმში, 76-ე პროფტექნიკური სასწავლებელში და ა.შ. აჭარის მწერალთა ორგანიზაციაშიც, მაგრამ ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა.

პარტიული კრების ჩატარებიდან 2-3 დღის შემდეგ ბინაზე მეწვიენენ სტუდენტები: რუსუდან მეგრეაძე, ლილა ჭყონია და ნოდარ ქედელიძე და მისთვის, მომთხოვრობათ 20 მაისს პარტიულ კრებაზე ჩემი გამოსვლის შესახებ, თან ნამაკითხეს საკონსტიტუციო კომისიისათვის გასაცხადებელი წერილი. მათ დოც. აბელ სურგულაძესთან ერთად უმუშავათ მოთხოვნის ტექსტზე.

სტუდენტებთან აქტიური ურთიერთობა შეინდა იმ დროს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს, პროფესორ შოთა ნიჟარაძესაც.

ამ წერილზე 24 მაისს, დღით ლ. ჭყონია, რ. მეგრეაძე, თ. ნემსაძე და ნ. გოთოშია ინსტიტუტის შესასვლელში სტუდენტებს ხელს აწერიდნენ. სწრაფად შეგროვდა 300 ხელწერილი. სტუდენტებმა განცხადების საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენა მიადევს. ქამადაძეს, ნ. ქედელიძეს, ნ. გოთოშას, ლ. ჭყონიას, მ. სიორიძეს, თ. ნემსაძეს, რ. მეგრეაძეს და მაშინ ახალგაზრდა პოეტს — ვ. ლლონტს. პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ვ. პაპუნიძე ქუთაისში აღმოჩნდა ნასული. მეორე დღეს მას სასაუბროდ მიუღია ვ. ლლონტი, მ. სიორიძე და ნ. ქედელიძე. ორსაათიანი კამათის შემდეგ სტუდენტებს პასუხად მიუღიათ: „დამპყიდვდნენ, დაწყარდნენ და სწავლაზე იფიქრონ.“

სტუდენტები კი პირიქით, მზად იყვნენ, ებრძოლათ დასახული მიზნის მისაღწევად.

26 მაისს ქალაქის მთავარ მოედანზე 500-დე სტუდენტს შეუერთდნენ მოსწავლეები, ქალაქის და სოფლის მოსახლეობაც. ისმოდა შემახილები — „დედა ენა“, „სახელმწიფო ენა“, ისმოდა პარტიოტული ლექსები და სიმღერები, ჭარბად მოხუცების გულში ჩამწვდომი სიტყვები, გამიჩნდა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას პორტრეტები, „დედა ენის“ ბანერი. ვითარება იძაბებოდა,

მცხუნვარე მზეც თავისას შვრებოდა. მიტინგის ორგანიზატორი სტუდენტები ცდილობდნენ, ვითარება უმართავი არ გამხდარიყო. უფროსი თაობის ვალი ახალგაზრდების პროვოკაციებისაგან დაცვა იყო. ერთმა მილიციელმა გამაფრთხილა: „ერთბილად, თქვენ დამდეგ, გისმენენ“. მიერ მომიტინგეებს რამდენიმე მილიციელმა ალაღად მიაჩნდა პური და წყალი, ხოლო მოედნის მოსაზღვრედ მცხოვრებნი აწვდნენ წყალს, მედიკამენტებს... ამ დღემ ყველა გააერთიანა, ერთ შეკრულ მუშტად აქცია.

ესისაზე შეხვეწება გამოცხადდა, ხელი-სუფალნი ბჭობდნენ, რა ელონათ მომიტინგეთა დასამომხმელებად. ნუგზარ ბერიძე, იმ დროს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის თანამემწე, იგონებს: ბათუმის სამხედრო გარნიზონის უფროსმა ვლადიმერ ტუტაშვილმა გადმომიჩურჩულა — „ნახევარი საათი მეყოფათ.“ გამორიცხული არ იყო ძალის გამოყენებაც, მაგრამ, მაღლობა უფალს, ეს არ მოხდა.

ამ დღეს სობუში კონსტიტუციაში აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსის შეტანას ითხოვდნენ და ეღუარდ შევარდნაძე მიემზავრებოდა ვითარების მოსაგვარებლად, მაგრამ აეროპორტში ბათუმის ამბებს გაგვიხსენებდა, აქეთკენ აუღია გეზი. მოედანზე შევარდნაძის გამოჩენას მოჰყვა ახალი შემახილები: „დედა ენა“, „ქართული — სახელმწიფო ენა“, „საქართველო“... შევარდნაძემ „დინამოს“ სტადიონზე მიიწვია მიტინგის მონაწილენი, მაგრამ არავინ წასულა, რამდენიმეს გარდა. მან სცადა აესხნა ხალხისთვის, რომ ქართულ ენას საფრთხე აღარ ეუქმებოდა, მაგრამ მისთვის არ ცხრებოდა. ესისა რომ დამთავრდა, ე. შევარდნაძემ ხალხს აუწყა, ახლახან მისკოვინდა მივიღე თანხმობა, რომ ივნისის შუა რიცხვებში დაეკმყოფილებოდა თქვენი მოთხოვნაო, მაგრამ ხალხი არ იმელოდა, მათ დასარწმუნებლად მას რამდენჯერმე დასჭირდა ფიცის დადება.

მომდევნო დღეებს ახლდა ეჭვი და შიში. 15 ივნისს განიხილეს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის საკითხი, ხოლო 22 ივნისს გამოიცა ბრძანებულება (გამოქვეყნდა 1978 წლის 24 ივნისის გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“).

1978 წლის 14 აპრილისა და 26 მაისის მოვლენებიდან 36 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ დღეების ბრწინებულად არ ქრება, რადგან დამტკიცდა, რომ თუ ერი, ყველა თაობა და ხელისუფლება ერთი მიზნისთვის იბრძოდნენ, გამარჯვებასაც მიაღწევს. ამ დღეებმა აჩვენა, რომ ის სტუდენტი გოგონები და ვაჟები ჩვენი დროის გმირები არიან. ჩვენს რთულ დღევანდლობას სწორედ ისეთი, მიზანმიმართული და პარტიოტული სულის ახალგაზრდაა სჭირდება.

**ამირქო დინაშიძე,**  
ემერიტუსი პროფესორი



# უნივერსიტეტის მოაზარენი

## სუსეინ ნაკაიძე - პირველი რექტორი



დაიბადა 1905 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. ადრე დაობდა და იზრდებოდა დედის ბაბუსა — დიდი მამულიშვილის, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრის, გულუ კაიკაციშვილის, ოჯახში. ხუსეინი 1913 წელს მიიბარეს ქობულეთის ორკლასიან სასწავლებელში. 1914 წელს, «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» ინიციატივით, ცნობილი მეცენატი მშენებლის, ზუბალაშვილების სტიპენდიით, ხუსეინ ნაკაიძე ჩაირიცხა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1918 წელს ის გადმოიყვანეს ბათუმის ქართულ გიმნაზიაში. 1924 წელს, ბათუმის პუბლიცისტური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი 1929 წელს დაამთავრა. მუშაობდა პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორად, აჭარის სახალხო განათლების კომისრად, კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარედ. 1935 წელს დაინიშნა ახლად გახსნილი სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად.

## ჯეაბ ნოლაიძე (1906-1966) —

1935 წლიდან მოიწვიეს ქართული ენის კათედრაზე ასისტენტად. თბილისის უნივერსიტეტში გაიარა ასპირანტურის კურსი და 1940 წელს, ადგილობრივ პედაგოგთა პირველმა, დიკვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1941 წელს მიიწვიეს დოცენტის წოდება. 1944-1947 წლებში მუშაობდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაუსწრებელი სწავლების დარგში, 1958 წელს კი სამუშაოდ გადავიდა ახლად დაარსებულ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ფოლკლორის განყოფილებას. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარის დიალექტური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში.

## ალ. რავლიშვილი

1937 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა ლექციებს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ლიტერატურის თეორიაში. 1937 წელს დიკვა საკანდიდატო, ხოლო 1971 წელს — სადოქტორო დისერტაცია. 1955-1962 წლებში სათავეში ედგა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. წლეების მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მწერალთა წრეს.

## ნალექა (ნალია) საბაშვილი

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე 1962—1967 წლებში. 1954-1995 წლებში კითხულობდა ლექციებს კურსის თანამედროვე ქართულ ენასა (მორფოლოგია) და ძველ ქართულ ენაში. ნ.ს.ს.ს. 1939 წელს ჩაირიცხა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის იმერული-კავკასიური ენების სპეციალობაზე. პარალელურად, კვლევით საქმიანობას ეწეოდა ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით), ხოლო 1945 წლიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში (აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით). მონაწილეობდა «ქართლის ცხოვრებისა» და «ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის» ფუნდამენტური გამოცემების მომზადებაში. საკანდიდატო დისერტაცია 1954 წელს დიკვა. მის სამეცნიერო ინტერესებში შედიოდა ქართული ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, ტექსტოლოგიისა და მწერლის ენის პრობლემები.

## ნელი ღუმბაძე

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი ქალი პროფესორი - 1949 წელს მოიწვიეს კათედრაზე და ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთგულად ემსახურა ახალგაზრდა ლიტერატორთა აღზრდის საქმეს. რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფიის ავტორია. აღსანიშნავია მისი მონოგრაფია «ქართული სიმბოლოზი» (1973). 6. დუმბაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კათედრასთან არსებულ ახალგაზრდა მწერალთა წრესა და ხელნაწერურნალ «მაჭახელას».

## აბელ სურგულაძე

უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის დამაარსებელი და პირველი გამგე. კათედრის გახსნამ შესაძლებელი გახადა საქართველოს ისტორიის კვალიფიკაციური დონეზე სწავლება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურება, ახალი პერსპექტიული კადრების მოზიდვა. ამ თვალსაზრისით განსაზღვრულია კათედრის პირველი გამგის წვლილი. მისმა მონაწილეობამ და აქტიურმა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობამ განაპირობა კათედრის წევრთა პროფესიული ზრდა. პროფ. აბელ სურგულაძე იყო არაერთი მონოგრაფიისა და სტატიის ავტორი. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ოთხი ათეული წლის მანძილზე მან გამოაქვეყნა 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის — 30-მდე წიგნი), 400-ზე მეტი საგანგებო პუბლიკაცია და რეცენზია. აღსანიშნავია პროფ. აბელ სურგულაძის ინიციატივით დაარსებული კრებული «საისტორიო მაცნე», სადაც იბეჭდებოდა ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომები.

## სუსეინ ხალვაში

1949 წელს ფიზიკის კათედრას სათავეში ჩაუდგა და 1972 წლამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა. მან 1939 წელს დაამთავრა თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობდა დაიწყო ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში ფიზიკის კათედრის ასისტენტად. 1945-1949 წლებში იყო ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი. 1950 წელს დიკვა საკანდიდატო დისერტაცია. ხ. ხალვაშის კათედრის გამგედ მუშაობის პროცესში, ფიზიკის კათედრამ განვლო საკმაოდ საინტერესო გზა. მისი ორგანიზებით ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები ფიზიკის სწავლების აქტუალურ საკითხებზე, სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციები, იქმნებოდა მეთოდური სახელმძღვანელოები. ფიზიკის კათედრის სასწავლო კაბინეტი აღიჭურვა უნივერსალური აპარატებით. ხ. ხალვაში იყო 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; მისი შრომები ეხებოდა თეორიულ ფიზიკას, ფიზიკის სწავლების მეთოდებს და სხვ. იგი დაჯილდოებული იყო მედლებითა და საპატიო სიგელებით.

## არიფ ბერაძე

1944 წელს დაამთავრა ბათუმის პედინსტიტუტი და აქვე დაიწყო მუშაობა. 1949 წლიდან მოსკოვში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1953 წელს დიკვა საკანდიდატო დისერტაცია გეომეტრიაში. მის მიერ აქსიომატურად აგებული იქნა ისეთი ბრტყელი გეომეტრია, რომლის აბსოლუტია მეორე რიგის გადაუგვარებელი წირი. შედგენილია ამ გეომეტრიის კუთვნილების, რიგის, მოძრაობის და უწყვეტობის აქსიომათა ჯგუფები და აგებულია მისი რამდენიმე ინტერპრეტაცია. ბ.ბ.ში დამბრუნების შემდეგ, აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას უთავსებდა ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო კათედრის გამგე, დეკანი, პრორექტორი. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და საპატიო სიგელი. სტუდენტებისა და კოლეგების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

## ჯეაბ მესხიძე

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობდა დაიწყო 1945 წელს, ზოოლოგიის კათედრაზე. იყო ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი. 1952 წლიდან ჯერ ზოოლოგიის კათედრის, 1955 წლიდან 1974 წლამდე კი ერთიანი ბიოლოგიის კათედრის გამგე იყო. უძღვებოდა ხერხემლიანთა ზოოლოგიის კურსს. დოც. ჯ. მესხიძის კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და აჭარის შიდა წყალსატევების იქითიფაუნის შესწავლა. მას შესწავლილი აქვს, აგრეთვე, აჭარის ფაუნა, დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და აჭარის შიდა წყალსატევების იქითიფაუნის, აგრეთვე, ძუძუმწოვრების შესწავლაში. კვლევის შედეგები ასახულია 40-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში. იყო განათლებული, ერუდირებული, დახვეწილი ინტელიგენტი, ამასთან, ფართო პროფილის მკვლევარი.

## ვლადიმერ ჭანტურია

1939-1962 წლებში ედგა სათავეში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრას. მისი ინიციატივით თანამედვერულ ხასიათი მიეცა ქართული პედაგოგიკის ისტორიის საკვანძო საკითხების კვლევას. დოც. ვლ. ჭანტურია მონოგრაფიულად შეისწავლა XI-XII საუკუნეების ქართული ჰუმანიზმის პედაგოგიკა და 1954 წელს წიგნად გამოსცა იგი. მანვე, ერთ-ერთმა პირველმა, მიუძღვნა აჭარის სახალხო განათლების ისტორიას ნაშრომი «იყო ერთობა აჭარაში» (ბათუმი, 1956). იყო ერთდირებული სპეციალისტი, როგორც ლექტორი და პიროვნება, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა სტუდენტებზე.

## სილოვან დაღუნაშვილი

ხუთი წლის მანძილზე (1973-1978) ედგა კათედრას სათავეში და უნიკალური პედაგოგიური ალლოტი და დაულალავი ორგანიზატორული მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო დაწყებითი განათლების სპეციალობის მასწავლებელთა მომზადების საქმეს.

## ლავით ხახუტაიშვილი



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დაიბადა 1924 წელს, ქობულეთის რ-ის სოფ. ალაშბარში. ალაშბარის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა ქობულეთის პედაგოგიურ სასწავლებელში, საიდანაც, 1941 წელს, 16 წლის ახალგაზრდა მოხალისედ წავიდა არმიაში და მეტყვიაფრქვევედ ჩაენერა. კავკასიის ფრონტზე დაიჭრა და დემობილიზებულ იქნა. 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა ქობულეთის პედსასწავლებელი, ხოლო 1951 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის სტიპენდიანტი. სწორედ ამ პერიოდში მიიქცია დავით ხახუტაიშვილმა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ყურადღება, რომლის ხელმძღვანელობით ნიჭიერი ახალგაზრდა აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. 1951-1954 წლებში ის სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ხელმძღვანელის მოადგილედ და არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენების განყოფილების გამგედ. 1978 წლიდან გარდაცვალებამდე, 20 წლის განმავლობაში, ბატონი დავითი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის დირექტორია. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მუშაობდა ბატონი დავითი საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემებზე. ამ ხნის მანძილზე მკვლევარმა საქართველოს, ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე გამოაქვეყნა 120-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის, 10-ზე მეტი მონოგრაფია. ეს ნაშრომები ფართოდაა აღიარებული და მოწონებული სამეცნიერო წრეებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

პროფესორ დავით ხახუტაიშვილის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოში ქალაქებისა და ქალაქური ცივილიზაციის გენეზისის საკითხებს. მკვლევარმა ახლებურად დასვა და გადამწყვიტა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების წარმოშობისა და განვითარების ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა. ასევე, მან საფუძველი ჩაუყარა «ქვეყნების» კომპლექსური ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლას. დიდი მისი წვლილი საქართველო-კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთში რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პრობლემების კვლევაში. მათ შესწავლას მან სამ ათეულ წელზე მეტი მონაწილეობა და საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოჩენებით გაამდიდრა. დავით ხახუტაიშვილმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწავა აჭარის ისტორიის ნარკვევებში ოთხტომეულის მომზადებასა და გამოცემაში, როგორც მთავარმა რედაქტორმა და ნამუშევრმა ავტორმა. მეცნიერ ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ხელმძღვანელობდა ასპირანტურა სამეცნიერო კადრების მომზადებას, კითხულობდა ლექციებს ძველი ისტორიის საკითხებზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა არა ერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიების (მეცნიერებასა და ტექნიკაში) და აჭარის სახელმწიფო პრემიების კომიტეტების, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი.

დავით ხახუტაიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საქართველოს უმაღლესი და აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, არაერთი ბათუმის საპატიო მოქალაქედ.

## ვახტანგ შამილაძე



ქართული ეთნოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა 1935 წელს ხელვაჩაურში, სოფელ ახალმშენში. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1961 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ დიკვა საკანდიდატო (1964), ხოლო მოგვიანებით სადოქტორო (1979) დისერტაცია.

1969-1979 წწ. იყო ბათუმის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის სწავლული მდივანი; 1980-1984 წწ. - დირექტორის მოადგილე; 1984-2006 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგე; 2004-2006 წწ. - ბათუმის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის დირექტორი; 2006 წლიდან - ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991), საქართველოს პარლამენტის წევრი (1996-2003 წწ.), ღირსების ორდენის კავალერი. პროფესორი ვახტანგ შამილაძე იყო ნამდვილი სპეციალისტი ეთნოლოგიაში. იკვლევდა ქართველი ხალხის მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების პრობლემებს, ეთნოსისა და ეროვნული პოლიტიკის ზოგადეთიერიულ საკითხებს, ისტორიული ეთნოლოგიის, ეთნოლოგიის მეთოდისა და მეთოდოლოგიის პრობლემებს. აღნიშნულ საკითხებს მკვლევარმა მიუძღვნა 180 სამეცნიერო ნაშრომი, წერილი და სტატია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რომელთა შორის 10 მონოგრაფიაა.

განუზომელია ვახტანგ შამილაძის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით დაცულია 20 საკანდიდატო და 10-მდე სადოქტორო დისერტაცია, არაერთი სამაგისტრო ნაშრომი. დიდა პროფესორ ვახტანგ შამილაძის დამსახურება სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის თვალსაზრისითაც. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარე, აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველი და სამეცნიერო საბჭოს წევრი, აშშ-ის კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საზოგადოების წევრი, ნიუორლეანის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს წევრი. 2002 წელს გახდა აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ მსოფლიოს 1000 ცნობილ მეცნიერთა ნომინაციის გამარჯვებული. სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის პროფესორი ვახტანგ შამილაძე 1988 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი მრავალჯერა და დაჯილდოებული მთავრობის ორდენებითა და მედლებით, საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელით.

# პირველი სტუდენტური, კომკავშირული...

ეს ამბავი ამას წინათ მოხდა.

რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზი ღამიანად მოერთოთ. მრავალფეროვანი ელნათურათა ცეცხლოვანი გირლანდები და ყვავილები საზეიმო ელფერის აძლიერებდა.



შეკრებილი მოუთმენლად ელოდნენ მეფედედოფლის, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტების, გულიკო დიასამიძისა და ალექსანდრე დავითაძის გამოჩენას.

და აი კარებში ნიავეით შემოიჭრა ქართულ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკი, გულიკოსა და ალექსანდრეს თანაკურსელი, გურამ დოლიძე.

— მოდიან, მოდიან! — დამბაჩასავით დაიჭეჭა და დარბაზიც შეიძრა, გამოცოცხლდა. მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლის წევრებმა „მოხდენილი“ ქართული გააჩაღეს, გარედან შემოსულ სიმღერას შიგნიდანაც სიმღერა შეაგებეს...

დარბაზში შემოდიან ახალდაქორწინებულები. მათ მორცხვად ჩაუარეს მეგობრებსა და ამხანაგებს, მასწავლებლებს, რომლებსაც ახლახან ჩაბარეს გამოცდები, ბედნიერების ღიმილი ესროლეს მშობლებსა და ნათესავებს, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ ქედის რაიონის სოფელ ზენდიდიდან და შუახვეის რაიონის სოფელ ნალვარევიდან. მერე ახალგაზრდა წყვილი სახელდახელოდ მორთულ სცენაზე ავიდა, და იქვე, ყველას თვალწინ, სიმღერისა და ტანსაცმლის ბათუმის საქალაქო მმართველის ბიუროს გამგემ თ. ხოფერიამ ქორწინების მოწმობა შეაფარა და ახალგაზრდებს გაბედნიერება მიულოცა.

გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს და ახალდაქორწინებულებს ბედნიერი ცხოვრება უსურვეს შუახვეის რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. დავითაძემ, თანასოფელმა ე. წილოსანმა, გულიკოს ბიძამ, ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ახმედ დიასამიძემ, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა მ. ფარტენაძემ, თანაკურსელმა ვ. ხომერიკმა.

ყველა აღაფრთოვანა გულიკოს ბაბუას — მემედ დიასამიძის სიტყვებმა. — არ შემოიძლია, — ამბობს იგი, — არ დავსცალო ეს ღვინით სავსე თასი შვილიშვილის, გულიკოს, ქორწილზე. გისურვებთ თქვენ, ჩემო შვილებო, ჯანმრთელობასა და ნათელ მომავალს.

ინსტიტუტის დირექტორი ვ. ქემხაძე კითხულობს მოსალოც დეპუტებს,



რომლებიც გულიკოსა და ალექსანდრეს სახელზე გამოგვიგზავნეს მოგილევსკის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომლებიც პრაქტიკაზე იმყოფებოდნენ ბათუმში, ბათუმელმა სტუდენტებმა, რომლებიც პედაგოგიურ პრაქტიკას გადიან სტალინში.

ახალდაქორწინებულებს გულთბილად მიესალმნენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი რ. კომახიძე და საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხანაგი ლ. დავითაძე.

ჩვენი კორესპონდენტი ამ დღეებში ტელეფონით დაუკავშირდა სოფელ ნალვარევის, ალექსანდრეს მშობლიური სოფლის კოლმეურნეობას.

— ახალდაქორწინებულებმა, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — ხალისი შემოიტანეს ოჯახსა და სოფელში. ისინი შრომაში ეხმარებოდნენ ოჯახს, თანასოფელელებს, ვისაც შრომა უყვარს, იგი ხალხსაც უყვარს.

კარგი ნათქვამია!

ჩვენც ამასვე გისურვებთ: ხალხის სიყვარული, ბედნიერება და და სიხარული არ მოგკლებოდეთ, ძვირფასო მეგობრებო!

(გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 1960 წელი, N158)

# უნივერსიტეტის მოაზარებანი

## შოთა (შუქრი) ნიჟარაძე

ნოდარ დუმბაძე წერდა: „კეთილი საქმის კეთება კაცისათვის სულიერი მოთხოვნილებაა, აქ იგი გამორჩენას არ მოელოს... ეს სიტყვები სრულად ასახავს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შოთა (შუქრი) ნიჟარაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მას წინადად ხვდა ქართული მეცნიერული სკოლის კორიფეების არნ. ჩიქობავას, ა.შანიძის, ნ.ბერძენიშვილის, კ.კეკელიძის და სხვათა მონაწილე ყოფილიყო. ასეთმა გარემომ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მომავალი მეცნიერის მსოფლმხედველობისა და სულიერი მისწრაფებების ჩამოყალიბებაზე.

1972 წლის 18 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების საბჭოს სხდომაზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგემ დოცენტმა შოთა იზეთის ძე ნიჟარაძემ მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეც-

ნიერო ხარისხი. ქართველი მეცნიერის სადოქტორო დისერტაციას გამოეხმაურა მრავალი უცხოელი ქართველოლოგი. საინტერესოა, რომ შოთა ნიჟარაძის შრომების მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა ყურნალ „რევუიუ დე ქართველოლოგიის“ რედაქტორი კალისტრატე სალიაძე.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შოთა ნიჟარაძე აქტიურად ჩაერთო პედაგოგიურ საქმიანობაში და უნივერსიტეტის (მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის) კედლებში არაერთი ღირსეული თაობა აღზარდა.

შოთა ნიჟარაძის მიერ შედგენილ წიგნს „აჭარული დიალექტი“, შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა პოეტმა ზურაბ გორგილაძემ. შიშნადიქცულ ლექსს „ჰოიდა ნანა“ ეპითეტად ამშვენებს მინაწერი: „ვუძღვნი შუქრი ნიჟარაძეს“. პოეტმა თავისი სულის ამონარიდი, ტკივილი და სევდა, სიყვარულის გამირობისა თუ გამარჯვების ამბა-



ვი, პატრიოტული სულისკვეთება მიუძღვნა ადამიანს, რომლის ლექციებიდან არა მარტო ქართული ენა შეითვისა, არამედ ყოველივე ღირებული, რაც შეიძლება გააჩნდეს ჭეშმარიტ მამულიშვილს.

მართალია, შოთა ნიჟარაძე ვერ მოესწრო უნივერსიტეტის დაფუძნებას, მაგრამ მის მიერ განვლილმა გზამ ხელი შეუწყო ამ დიდი საქმის აღსრულებას.

## ნალი ნიჟარაძე

ნ. ნიჟარაძე დაიბადა 1911 წელს ქედის რაიონის სოფელ ვაიოში. 1930 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი. 1931 წლიდან 1936 წლამდე, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. 1936 წელს დაინიშნა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად, ხოლო 1937 წელს, 26 წლის ნ. ნიჟარაძე დაინიშნა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისრად.

ნ. ნიჟარაძე ათწლეულების მანძილზე იღვწოდა აჭარაში განათლების სისტემის ჩამოყალიბებისა და სრულყოფისათვის. მისი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით შეიქმნა განათლების არაერთი ახალი კერა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ნ. ნიჟარაძის მოღვაწეობა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში, სადაც იგი 1936 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა. 1949-1954 წლებში იყო ინსტიტუტის რექტორი, ხოლო 1964 წლიდან გეოგრაფიის კათედრის გამგე. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მოჰკიდა ხე-

ლი აჭარის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემების შესწავლას, რასაც მიუძღვნა 12 მონოგრაფია და ათეულობით სამეცნიერო სტატია.

ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობის პარალელურად ნ. ნიჟარაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1946-1949 წლებში იყო აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების სამმართველოს უფროსი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად მუშაობის პერიოდში თბილისიდან მოიწვია ცნობილი პროფესორები, მნიშვნელოვნად გაზარდა სწავლისა და სწავლების ხარისხი. ინსტიტუტის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა როგორც კარგმა ორგანიზატორმა, განათლებულმა და განმანათლებელმა, მრავალი თაობის აღმზრდელმა, პედაგოგმა. სწამდა, რომ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი მნიშვნე-



ლოვანი საგანმანათლებლო კერა გახდებოდა არა მარტო აჭარაში, არამედ ზოგადად რეგიონში.

მან რთული და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო, გზა აღსავსე წარმატებით, წინააღმდეგობებით, აღიარებებით, ნოვატორული წამოწყებებით, უკომპრომისობით. უსამართლო ცილისწამებით მოთმენით, უმადურობით და მადლიერებით! საინტერესო, ცხოვრების მანძილზე მან ბევრი რამ შეძლო, მაგრამ უმნიშვნელოვანესს — უნივერსიტეტის გახსნას ველარ მოესწრო.

## ნური ნიჟარაძე

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ღირსეულ კვალს ტოვებენ, კვალს, რომელსაც შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს. ჩვენმა კუთხემ არა ერთი ასეთი პიროვნება გამოზარდა, რომელთა შორისაა ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნური ნიჟარაძე. იგი დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ალაშბარში. 1929 წელს, 22 წლისამ წარჩინებით დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი და ქობულეთის საბაზო საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა, ერთი წლის შემდეგ კი იგი ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ გადაიყვანეს.

მისი თავდადება, აქტიური საქმიანობა და ნიჭიერება შეუმჩნეველი არ დარჩენია მაშინდელ ხელმძღვანელობას და უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიავლინეს. 1937 წელს ნური ნიჟარაძემ წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი, ბიოლოგიის სპეციალობით და დამთავრებისთანავე ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად დანიშ-

ნეს. ხოლო მალევე, 30 წლის ახალგაზრდა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად გადაიყვანეს. ხუთ წელიწადს ედგა იგი სათავეში ამ უმაღლეს სასწავლებელს.

რექტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ 1941 წელს ინსტიტუტმა გამოსცა სამეცნიერო შრომების კრებული. მოეწყო პირველი სამეცნიერო სესია. ყურადღება ექცეოდა სტუდენტურ ცხოვრებას. ხელმძღვანელის მზრუნველი ხელი ეტყობოდა სასწავლო ბაზას. მოეწყო ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების კაბინეტ-ლაბორატორიები. ინსტიტუტი პედაგოგიური კადრების სამჭედლოდ იქცა.

სამამულო ომის დაწყებიდან მეორე წელს, როდესაც ქვეყანას ძალზე უჭირდა, რექტორმა მასწავლებლები და სტუდენტები ბრძოლის ველზე იბრძოდნენ, ნური ნიჟარაძემ რექტორობას ფრონტის წინა ხაზზე ბრძოლა არჩია და მოხალისედ წავიდა ომში.

ომიდან დაბრუნების შემდეგ ნური ნიჟარაძე მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებო-



ბებზე, მაგრამ ბოლოს იგი მანც დაუბრუნდა პედაგოგიურ საქმიანობას და მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად დაინიშნა, სადაც 23 წელი დაჰყო.

მისი პედაგოგიური საქმიანობა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთი აღინიშნა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდებები, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

